ამ წლის პირველ იანვარს ყველასათვის გაუგებრად გამოსალმებია წუთისოფელს ნინო მუსხელიშვილის ასული. უდროოდ დაკარგული ნინო ღირსია იმისი, რომ მისი მოკლე ცხოვრება ორიოდე კეთილი სიტყვით აღნიშნოს კაცმა, მით უფრო რომ ის ასპარეზი, საცა ის მუშაობდა, ჩუმია და უჩიხარი. სწავლა ნინომ დაამთავრა ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში. თვით მოწაფეობაში თავისი სათნოიანი ხასიათით ნინოს ამხანაგების სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. გაათავა თუ არა სწავლა მაშინვე მასწავლებლობას შეუდგა, თავს იდვა მძიმე და თითქმის დაუფასებელი შრომა. პირველად ბ-ნ ოცხელის საბავშვო ბაღში მუშაობდა, სადაც მშობელთა და ამხანაგთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ამასთან მოიხვეჭა კარგი მასწავლებელის სახელიც. 1916 წ. ტფილისში დაარსდა ქალთა სასწავლებელი სათავად-აზნაურთა გიმნაზიასთან და ნინო ამ სასწავლებელში მოიწვიეს. აქაც ნინომ ისეთივე მხურვალე სიყვარული და გულმოდგინეობა გამოიჩინა საქმისადმი, როგორც ქუთაისში,—ყველას გულში წაუშლელი სევადით აღნიშნა თვისი სახელი.

მარტო ამ სასწავლებლით არ კმაყოფილდებოდა ნინო, საცა კი ხელი მიუწვდებოდა, ყველგან ეწეოდა შრომას. დიდად შეჰხაროდა საბავშვო ბაღის მოწყობას, და შრომას არა ჰზოგავდა მის განსახორციელებლად. ჰმართავდა სადილათ კითხვებს საწყალ ბავშვთათვის, სთარგმნიდა მოთხრობებს, მუშაობდა „ნაკადულში“ და სხვა. ასე გასინჯეთ, როცა მისი სოფელი ერთხელ დაისტყვა, ფულიც მოაგროვა და 200 მან. გაუგზავნა დამშეულს გლეხებს.

ამნაირის დაუღალავის შრომით მოქანცულს თითქოს მოუნდა პირადი ბედნიერებაც და გათხოვდა. ბედმა აქაც უმუხთლა: ბედნიერება მწუხარებად გადაექცა და დაქლექდა. უპატრონოდ მიტოვებულმა მიატანა სამშობლო მიწას და იქ ცივს სამარეს მიაბარა თავისი თავი, ისე ჩუმად, გაუგებრად, რომ მისმა მეგობარ-ამხანაგებმა უკანასკნელი „მშვიდობითა ჯ“ კი ვერ უთხრეს.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, დაუვიწყარო კეთილო მუშაკო ნინო.

თუ არა ღმერთს? რისთვის ულვრია სისხლი საქართველოს ისტორიის თვალ-უწვდენელს სივრცეზე? რისთვის აუმეტყველებია მას ვაითა და უით მთანი და ველნი, ზღვანი და მდინარენი? რად უქცევია ჩრნჩხები ქვად და მათზე სისხლის მდინარე გაუშვია? ვინ მართავდა ისტორიის იმ უხილავს ხელს, რომელიც შეურხევლად უთხრიდა სამარეს ერის იმედთ და ნუგეშთ?

— ვალი, ვალი გარდახდადეო!— გვესმის გურამიშვილის ყვირილი, ღმერთისადმი მიმართული.

— ჩვენნი მსხვერპლნი კეენისას ნუ მიამსგავსეო!—გმინავს ქვეყნის ფაფარ-აყრილი სული გურამიშვილის პირით, და ეს სისხლ-ნარევი აღმოკვნესა მთელის ერისა გურამიშვილის სისხლის მელნით იწერება გურამიშვილსავე ხელით!!!

მაგრამ ულმობელი ისტორია ასეთს ღაღადებს როდი უგდებს ყურსა! ის თავის გზით მიექანება მთელის თავის აუცილებლობით და უძლურს ჰყოფს ადამიანის ყოველს ცდას წინაღუდგეს მას, შესცვალოს მისი მიმართულება. ისტორიამ არ იცის სამართალი, არა სამართალი მას არა აქვს შებრალება სუსტისადმი, იგი დესპოტია უმოწყალო და უგულო: —ვის სად არ გადაისვრის, ვის სად არ მილეწავს, ვის კიდევ სად არ უმუხთლებს! იგი თითქოს ერთობა კაკობიობის ტრაღედიითა, და კაკობრიობის ზარსა და ვაებითს მოთქმას ისე უსმენს, როგორც საამო მოსასმენს სიმფონიას. დ. გურამიშვილი კარგად იცნობს მის უკულმართს ტრიალს.

„არ დაიჭირვის ხელში
რა გინდ რომ ბჭალი უპირო!
დღეს რომ ლხინი მოგაგოს,
ხვალ ვერ მოურჩე უჭირო“!!

და განა შეიძლება ადამიანი შეურიგდეს ასეთს მონობას, უპირო ისტორიის ასეთს განუკითხველს დარ-ევასა და უსამართლო გამგებლობას?? ტრაგიზმიც იმაშია, რომ ადამიანი ვერ ურიგდება იმას, მაგრამ იძულებულია შეურიგდეს, დაემორჩილოს მას. დ. გურამიშვილი ეურჩება ასეთს დამორჩილებას. ის დაეძებს რაიმე ძალას, მაგრამ მას „არსად ჰყავს სხვა მისამართი გარდა ღმერთისა“, რომელიც სავსებით არ უკვეთს სასოს და რომელზედაც უნდა დაყრდნობა მის უსწორ-მასწორო ბრძოლაში მოქანცულს სულს.—ხან მორჩილი და საწყალი, ხან ანჩხლი და მდურავი, ხან დარწმუნებული, რომ ღმერთი უპასუხოდ არ დასტოვებს მის მოთხოვნებს, ხან კი ეჭვით შეპყრობილი, მიჰმართავს იგი ამ ერთად ერთს მისამართს:

„მათ ჩვენთა აღნადგინებთა
სხვათა ნუ აძლევო“!!

ამ სიტყვებს დაკვირვება სჭირია.

პატარა ხალხს უხსოვარ დროიდან თავი შეუფარებია კავკასიონის ზურმუხტოვან მიდამოებში, მოუკალათებია აქ, შეუქმნია სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, შესდგომია ცხოვრების მძიმე უღელს, მოუწადინებია სულიერის და მატერიალურის სიმდიდრეთა გამრავლება, დიდძალი ენერგია დაუხარჯავს, ბევრი ჭირი დაუძლევია, თავისი მე განუმტკიცებია, რომ ისტორიის ქარი შხალს წამოუბერავს, შეუნძრევია მისი არსებობა ძირითად და თითონ იგი, ათას ასეთს ხიფათს წინედ გადარჩენილი, შავს უფსკრულისაკენ დაუქანებია და ყოველი მისი **სარჩო საბადებელი,** მისი ყოველი **განძეული სხვისად** განუმზადებია!!

ეს შეთვისებული აქვს დ. გურამიშვილს და ამიტომაც ამბობს:

„მათ ჩვენთა **აღნადგინებთა**
სხვათა ნუ აძლევო“!!

არც ამ შემთხვევაში იქმნა შეწყნარებული ერის ღაღადი,—ერის დიდება, მთელი მისი განძი, მისი სვე და ბედი სხვათა წაიღეს.

გურამიშვილი, ერის ზემო მოყვანილ ფიქრითა და ვაებათა გამოძახეველი, ჩვენ მოგვეევლინა, როგორც გამაპიროვნებელი ქართველი ერის ტრაღედიისა, როგორც ხორცი ხორცთაგან და სისხლი სისხლთაგან საქართველოსი!

ჭეშმარიტად, არც ერთს მწერალში არ განსახიერებულა საქართველო **ისეთის რეალობით,** როგორც გურამიშვილში! არც ერთს ქართველ მწერალს **არ განუცდია** საქართველო ისეთის სინამდვილით, როგორც ის განიცადა დ. გურამიშვილმა! მან შეიზავა ერის სული და მისი ტკივილები გამოაშკარავა. მისმა შემოქმედებამ გამოაჩინა ის, რაც უძგერებდა მის დროის ერს გულსა და სულს.

დ. გურამიშვილი მოკიქულად გაუხდა ქართველ ერს მომავალ საუკუნეთა წინაშე, რათა მათ გადასცეს ქართველი ერის თავ-გადასავალი, კიდით-კიდე მოჰფინოს დაუსრულებელი წამებანი ერისა, რათა უჩვენოს მათ, ამ მომავალ საუკუნეთ, ერის შელახული და შეგინებული სახე, რათა მსრბოლავ დროთა დაუსრულებელს მიმდინარეობას სინიდისს სამხილებლად წინ აღუმართოს განაწამები ერის დაბასრული ხატება!

ლეო ქიაჩელი.

მუშათა შორის

მუშათა დეპუტაცია ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან.

1 თებერვალს საავადყოფო კასების მუშათა 7 კომისიის რწმუნებულნი, ბობილი, ხეოროსტოვი და ანტონოვი მიიღო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა. მუშათა რწმუნებულებმა სთხოვეს მინისტრს, მუშებს უფლება მიეცეს დასაზღვევ საბჭოსა და კომისიებში თავიანთი წარმომადგენელები იყოლიონ. მინისტრმა უპასუხა: მეც უმჯობესად მიმაჩნია მუშათა წარმომადგენლობა დაზღვევის საქმეში, მაგრამ დაკმაყოფილება თხოვნისა არ შემიძლიან, რადგანაც კანონი ნებას არ მაძლევს. მინისტრი შეჰპირდა მუშებს: ვიშუამდგომლებ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა მუშებს უფლება მიანიჭოს დაასახელონ სასურველი პირნი საბჭოსა და კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ კი მინისტრი იმ პირთ თავისის უფლებით დაჰნიშნავს.

მუშებმა შეესჩივლეს მინისტრს, რომ ადმინისტრაციის სისტემატიურად სდევნის მათ, დაატუსაღებს რწმუნებულებს, რითიც ხელს ღებულის მუშებს გამოიყენონ ის უფლებანი, რასაც კანონი ანიჭებს.

ლიტვინოვ-ფალინსკიმ, სამრეწველო განყოფილების გამგემ, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა, დაადასტურა მუშების სიტყვები და სთქვა: ამის თაობაზე ქალაქის უფროსის კანცელარიას შევეკითხე, მაგრამ იქ განმარტება არ მოვცესო. მინისტრი დაჰპირდა მუშებს, ამის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრს მოველაპარაკები და ადმინისტრაციის საქმეში ჩარევას მოვაპობო.

მუშათა დეპუტაციამ მინისტრთან ერთ საათს დაჰყო.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

6 თებერვალი.

ბუქარესტი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ცუდი ამინდების გამო ჯარის უმოქმედობა შეჩერებულიაო. გავრცელდა ხმა, ვითომც ბულგარებმა ბულაირი აიღესო. ენვერ-ბეი მარმარილოს ზღვაში დასცურავს და ხელსაყრელ წუთს ელის, რომ ჯარი როდოსტოზე გადასხასო.

ქაირი. ქიამილ-ფაშამ მიიღო ეგვიპეტელი ნოტაბლები და უთხრა: ომს თავიდან ავიცილებთ თუ დიდი სახელმწიფონი მხარს დამიჭერენ და ჩემს რჩევას დაიჯერებენო.

გაზეთებიდან.

ადრიანოპოლის ალყა.

რადგან საფრანგეთის მთავრობამ უკმაყოფილება გამოაცხადა იმის გამო, რომ ბულგარეთის მთავარმა შტაბმა უარი უთხრა მას ადრიანოპოლიდან 200 ფრანგის გამოშვებაზე, ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ შესცვალა წინანდელი განკარგულება და დაადგინა: ნება მიეცეს საფრანგეთის 200, ქვეშევრდომს, დასტოვონ ადრიანოპოლი. თავის თავად ცხადია, რომ ამ მაგალითით ისარგებლებენ სხვა სახელმწიფოებიც და მოითხოვენ თავის ქვეშევრდომთა გამოშვებას. ამჟამად ადრიანოპოლში 2000 უცხოელია,

სკუტარის ალყა.

პარიზიდან იტყობინებიან: ჩერნოგორელების მიერ ბარდანიოლის სიმაგრეების აღებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალებზე. იგინი სამჯერ შეეცადნენ ციხის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ამ ჟამად ჩერნოგორელები მძიმე სალაყო ზარბაზნებს სდგამენ აღებულ სიმაგრეებზე. სერბიის დივიზია ბრდიცის სიმაგრეთა საიერიშოდ ემზადება.

საბერძნეთის ჯარი მცირე აზიაში.

ათონიდან იუწყებიან: ქალაქში დიდი აღფრთოვანებაა იმის გამო, რომ საბერძნეთის ფლოტმა მოახერხა 40,000 ჯარის-კაცის გადაყვანა ბეზიკის ყურიდან მცირე აზიაში, დარდანელის ციხის ზურგს უკან.

ენვერ-ბეის დაჭრა.

ვენიდან მოსული ცნობების მიხედვით, ენვერ-ბეი ბულგარელებთან ბრძოლაში კი არა, ნაზიმ-ფაშის მომხრეებს დაუჭრიათ შურისძიების მიზნით.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

6 თებერვალი.

სოფია. „მისი“ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ ბულგარეთ-რუმინიის დავის სასურველად დაბოლოვების იმედი არისო.

ვენა. „პოლიტიშე - კორესპონდენცი“ სწერს: ბულგარეთ რუმინიის განხეთქილებამ, დიდ სახელმწიფოთა ჩარევის შემდეგ, სიმწვავე დაჰკარგაო. მოლაპარაკება სასურველ შედეგსო მოაღწევს.

პარიზი. „ტანი“ იტყობინება, რომ რუმინიამ არბიტრაჟის თაობაზე თხოვნით მიჰმართა იტალიასა ჭ რუსეთს.

გაზეთებიდან.

ელჩთა კონფერენციაზე.

რადგან რუსეთსა და ავსტრიას შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა ალბანეთის საზღვრების საკითხში, ავსტრიის ელჩმა მიატოვა კონფერენციის სხდომა.

ავსტრიის მოთხოვნილება.

როგორც პეტერბურგიდან იტყობინებიან, ელჩთა ლონდონის კონფერენციაზე, ავსტრიის წარმომადგენელმა ახალი მოთხოვნილება წარადგინა: სალონიკის სამუდამო ნეიტრალიზაცია და ავსტრიისათვის სერბიის მიწა-წყალზე სავაჭრო გზის მიცემა.

საზონოვის განცხადება

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საზონოვმა განუცხადა ოსმალეთს, რომ როგორიც არ უნდა იქნეს განახლებულ ომის შედეგი, ზავის პირობები მაინც არ შეიცვლება ოსმალეთის სასარგებლოდ ჭ რუსეთიც მხარს დაუჭერს მოკავშირეთა მოთხოვნილებასო.

შეტაკება საზღვარზე.

ვენიდან ცნობაა: ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ რუსეთ-ავსტრიის საზღვარზე მოდარაჯე ჯარისკაცთა შორის შეტაკება მოხდაო.

ბულგარეთისა და რუმინიის დავა.

პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ ერთმა მეკობარმა სახელმწიფომ ურჩია ბულგარეთს ნუ დასთანხმდები რუმინიისათვის ტერიტორიის დათმობასო. ერთად-ერთ დათმობად ქალაქ ხალისტრიის ცახეთა მოშლას ასახელებენ. ჰფიქრობენ, რომ რუმინია ძალით დაიჭერს სადავო მიწა-წყალს; ამ შემთხვევაში ისეთი მდგომარეობა შეიქნება, რომელსაც მეტად მძიმე შედეგი მოჰყვება.

რუსეთი და ავსტრია.

ავსტრიის ელჩი ლონდონიდან ვენას წავიდა. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ელჩთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ნათლად გამოირკვა სრული შეურიგებლობა რუსეთისა და ავსტრიის თვალსაზრისსა ბალკანეთის საკითხში.

ავსტრია საომრად ემზადება.

ვენიდან იუწყებიან: ბალკანეთის საკითხის დღევანდელი მდგომარეობა მეტად საშიში შეიქნა. მინინტრთა საბჭოს სხდომა რვა საათს გაგრძელდა, ბერჰტოლდმა აღნიშნა დემობილიზაციის შეუძლებლობა და მოითხოვა ახალი კრედიტი სამხედრო საჭიროებისათვის.

მოლაპარაკების შეწყვეტა.

ბულგარეთისა და რუმინიის შორის შესწყდა მოლაპარაკება. რუმინიის რწმუნებული თავ. გიკა ბუქარესტს წავიდა. ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრი მხოლოდ რუსეთის ჩარევას სთვლის შიტკების თავიდან ასაცილებელ საშუალებად.

რუსეთი და რუმინია.

ბუქარესტიდან ცნობაა: ხმა დადის, რომ რუსეთმა გაიწვია თვისი ელჩი შებეკო, რომელმაც ვერ მოახერხა სამთა კავშირის გავლენის შესუსტება რუმინიაში. მის დგილს ინიშნება დეპუტატი კრუპენსკი, რომელიც რუმინელების მოძულედ ითვლება.

დეპეშები

(დ პეშათა პეტერბ. სააგენტო)

6 თებერვალი.

საზღვარ-გარედ

აჯანყება მექსიკოში.

მექსიკო. მადერო და მინისტრები დატყვევებულნი არიან. დროებითი პრეზიდენტად უერტა გამოაცხადეს.

მექსიკო. მადერომ თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდს ხელი მოაწერა. იმის შეპყრობის დროს თოფის სროლა ასტყდა. დაიჭრა რამდენიმე კაცი. უერტამ მთავრობის გამოცვლის ამბავი ჩრდილო-ამერიკის ელჩს აცნობა. უერტამ დეპუტატთა პალატა მოიწვია.

საფრანგეთი

პარიზი. სანამ პუანკარე ელისეს სასახლეში დაბრუნდებოდა, ფალიერი ბრიანის თანხლებით ფრანკისკ პირველის ქუჩამდე მიაცილა. საღამოთი ელისეს სასახლეში მინისტრები შეგროვდნენ. ბრიანმა პუანკარეს გადასცა კაბინეთის თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდი. პუანკარემ სთხოვა მინისტრებს თავიანთ თანამდებობაზე დარჩენილიყვნენ და მათ ხელმეორე დანიშვნის ბრძანება გამოსცა.

პარიზი. პუანკარემ მიიღო მისალოცი დეპეშები ხელმწიფე იმპერატორისაგან, იტალიისა, ბელგიისა, დანიისა, ნორვეგიისა და შვეიცის მეფეთაგან და ლიბერიის რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან.

პარიზი. სენატისა და დეპუტატთა პალატის ბიუროს ინახულა ფალიერი და პრეზიდენტობისთვის მადლობა გამოუცხადა. ფალიერმა თავის მხრივ მადლობა გადაუხადა და დასძინა: „უღრმესად მრწამს, რომ საფრანგეთის ჰენია მომავალში ფართოდ გაშლის ფრთას; კაცობრიობის ცივილიზაციის გზით სიარულს ნათელ შუქს მოჰფენსო“.

არეულობა იაპონიაში.

ტოკიო. კაცურას წინააღმდეგ ხალხის ამხედრება სხვა და სხვა ქალაქებში არეულობას იწვევს.

ვაშინგტონი. მიუხედავად ტაფტის „ვეტოსი“, სენატმა მიიღო ბილი, რომლითაც გაუნათლებელ ემიგრანტებს ეკრძალებათ ამერიკაში შესვლა.

ბერლინი. რეიხსტაგმა მიიღო ცენტრის წინადადება, რომლითაც იეზუიტებს გერმანიაში ცხოვრების ნება ეძლევათ. მთავრობის წარმომადგენელნი სხდომას არ დაესწრებიან.

რომი. პარლამენტში ჩინეთის მეგობართა ჯგუფი შესდგა. კომიტეტს თავმჯდომარედ ლუკატია.

ვენა. საზღვაო ძალთა მთავარ-სარდალი მონტეკუკოლი, 70 წლის შესრულების გამო, თანამდებობიდან გადადგა.

რუსეთი.

პეტერბურგი. დაიპატიჟეს „ლუჩის“ № 30.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ ნება მისცა მოსკოვის წერა-კითხვის საზოგადოებას მის მიერ „იასნი პოლიანაში“ დაარსებულ სახალხო სამკითხველოს დაარქვას სახელად „გრ. ლევ ნიკ. ტოლსტოის სახელობის სახალხო სამკითხველო“.

მოსკოვი. თვითმმართველობის კომისიათა შეერთებულ სხდომაზე გადასწყვიტეს, ითხოვონ ქალაქის საბჭოს წინაშე 2 მილიონის მანეთის კრედიტი რომანოვთა საგვარეულოს სახელობის საავადყოფოს მოსაწყობად.

პეტერბურგი. იუსტიციის სამინისტრომ დაადგინა სამოსამართლო ოლქებში დაარსოს სამოსამართლო-საპრაქტიკო სკოლები ახალგაზრდა ვექილების სავარჯისოდ.

უცხოეთი

კაპიტან სკოტის ექსპედიციის დაღუპვა.

დეპეშებმა სამწუხარო ცნობა მოიტანეს: დაიღუპა კაპიტანი სკოტი, რომელმაც მოაწყო სამხრეთ პოლიუსისაკენ ექსპედიცია. როგორც გამოირკვა სკოტი პოლიუსს მიახლოვებია 18 იანვარს 1912 წელს. იქ სკოტმა აღმოაჩინა კარავი და სხვა და სხვა დოკუმენტი, რომელიც ნორვეგიულ ამუნდსენს დაუტოვებია. სკოტზე ცუდად უმოქმედნიათ ამბავს, რომ სამხრეთ პოლიუსამდე პირველად ამუნდსენს მიუღწევია. მცოდნე პირნი ამტკიცებენ, რომ ჩვეულებრივ პირობებში ქარ-ბუქი სამხრეთ პოლიუსზე დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ იმ დროს არაჩვეულებრივი რამ მომხდარა. სკოტის ექსპედიცია ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი ივენსის კონცხს დასავლეთით მოექცა, მეორე ნაწილი სკოტის მეთაურობით სამხრეთ პოლიუსისკენ გაემართა. „Central News“-ი დაწვრილებით მოგვითხრობს. სკოტის დაღუპვის ამბავს: სკოტის ექსპედიციაში, სულ 5 კაცი იყო: სკოტი, უილსონი, ბოუერსი, სატსი და მეზღვაური ივენსი. პირველი სამი უპოვნიათ სკოტის საწყობიდან 11 ვერსის მანძილზე. როგორც გამოირკვა, ისინი გარდაიცვალნენ 29 მარტს, სატსი 17 მარტს და ივენსი ტვინის სიდამპლისგან 17 თებერვალს.

სკოტის საძებნელად მისმა განცალკევებულმა ამხანაგებმა მოაწყეს ექსპედიცია 1912 წელს, მარტში. მაგრამ ექსპედიცია იძულებული იყო უკანვე ივენსზე ღაბრუნებულიყო, რადგანაც ამინდი საშინელი იყო და ძაღლებიც ვეღარ იძვროდნენ. მეგობრები მეორედ შეეცადნენ სკოტის ძებნას, მაგრამ მეორედაც ცდამ ამაოდ ჩაუარათ. ზაფხულში ექსპედიციის მოწყობა შეუძლებელი იყო, რადგანაც ყი-

ნული დაძრულიყო. 30 ოქტომბერს გაიგზავნა ექსპელიცია კონცხზე, ივენსზე. ექსპელიცია მოვიდა სკოტის საწყობთან „Oneton caip"-ს, იქ ყველაფერი რიგზე იყო. 12 ნოემბერს ექსპედიცია წაადგა სკოტის კარავს. იქ იპოვეს სამი გვამი: სკოტისა, უილსონისა და ბეუერსასი. სკოტს უკანასკნელი წერილი გაუგზავნია ევროპაში 3 იანვარს 1912 წელს. მაშინ უკვე მიახლოებული იყო სამხრეთ პოლიუსს, უჩიოდა ამინდებს, ნამკერს, აღნიშნავდა გზის სიძნელეს. სკოტს ალმოაჩნდა დღიური. დღიურში აღბეჭდილია საშინელი ბრძოლა ბუნებასთან, თითქმის უკანასკნელ წუთამდე.

ოსმალელ ქალთა მიტინგი სტამბოლში.

სტამბოლელი კორესპონდენტი „ბერლინერ ტაგებლატს" ატყობინებს, რომ 9 თებერვალს სახ. სტ. უნივერსიტეტის დარბაზში ოსმალელ ქალთა ფრიად საგულისხმო მიტინგი გაიმართა. კრების თავმჯდომარედ იყვნენ პრინცესა ნიძუტ-ხანუმი და მაჰმუდ-მუხტარ-ფაშის მეუღლე. პირველად ილაპარაკა ფახძი - ალიხ - ხანუმმა, ოსმალელ ისტორიკოსის, ჯევატ-ფაშის ქალმა. მოლაპარაკე გატაცებით ამტკიცებდა ბრძოლის გაგრძელების საჭიროებას. იგი ამბობდა: ოსმალეთმა მსხვერპლი უნდა შესწიროს სამშობლოს დასაცავად და მოუწოდებდა ოსმალელ ქალებს, რათა ყოველ მხრივ დაჰხმარებოდნენ ოსმალეთის ჯარს. შემდეგ ტრიბუნაზე ადის ფეიძე-ნესხეტ-ხანუმი, მოხდენილი ქალი. მგრძნობიარე და ლამაზ სიტყვით დაასურათა ბალკანეთის ომის ძიმდინარეობა, აღნიშნა მოკავშირე სახელმწიფოების სისასტიკე და სიმკაცრე. ოსმალელმა მოსწავლე ქალებმა წაიკითხეს ლექსები. ილაპარაკა ცნობილმა მწერალმა ქალმა ხალიდე-ხანუმმა. კრება მას აღტაცებით მიეგება. ხალიდემ მოაგონა კრებას ოსმალთა სახელმწიფოს დიადი წარსული: რითაც კი ძალა შეგწევთ, ჯარს დაეხმარეთ ოსმალეთის მტრებთან საბრძოლველადაო!" — ასე დაათავა სიტყვა ხალიდემ.

კრებამ დაადგინა, ოსმალეთის ჯარს გამამხნევებელი დეპეშა გაუგზავნოს. დეპეშით კრება სთხოვს ჯარს, იბრძოლოს მხნედ და მედგრად სამშობლოს და დედათა, ცოლთა და დების პატივის დასაცავად. დეპეშები გაეგზავნებათ აგრედვე ევროპის გვირგვინოსან ქალებს, დაიფარონ ოსმალეთი მოკავშირე სახელმწიფოთა სიმხეცისაგან. კრების გათავებისას ყველამ თვის ძვირფასი სამკაული შემოიხსნა და ძვირფას სამშობლოს დასაცავ თანხას შესწირა.

ანგარიში

ხოხუმის ქართულ სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოსი

(14 იანვარს 1913 წ.).

შემოსავალი:

1) ბილეთებით შემოვიდა 1379 მ. 95 კ.; 2) შემოწირულებანი: ნ. გ. ჩიქოვანმა შემოსწირა 25 მ., კნეინა ევთავდგრიძისამ 15 მ., ათ-ათი მანეთი შემოსწირეს: ქ-ნ კ. სამურიდმ, ბ. პ. თურქიამ, ბ. მეტელიოვმა, ს. ს. სპასკიმ, ა. ი. ჯუღელმა და თ. ს. ხ. მიქელაძემ, ხუთ-ხუთი მანეთი: მ. ლ. ტომარამ, რ. ივ. კაკუბავამ და გ. ბ. გვალიამ, სამ-სამი მანეთი: პ. ლ. გოგრიჩიძემ, ო. ალ. უნკოვსკაიამ, დ. ი. ფრენკელმა და ძმათა დავიდოვებმა და 2 მ. 40 კ.; გრ. მიმინოშვილმა, —სულ 129 მ. 40 კ.; 3) ყვავილები, კონფეტები და პროგრამები 173 მ. 70 კ.; 4) შამპანიურის კიოსკმა მოგვცა 146 მ. 55 კ.; 5) „ზედა" ბუფეტმა 291 მ. 53 კ.; 6) „ქვედა" ბუფეტმა 318 მ. 70 კ.

ამ რიგად სულ შემოვიდა 2439 მ. 83 კაპ.

გასავალი:

1) მეუღლეთ მაევსკებს 100 მ., 2) სამხედრო მუსიკას 50 მ., 3) მეთაურებს 12 მ., 4) ბ. განკულოვს 27 მ. 11 კ.; 5) მარკები 61 მ. 14 კ.; 6) ელექტრონის გამოყვანა 30 მ., 7) ელექტრონი (ენერგია) 13 მ. 54 კ., 8) ბატ. ლიუბკინის ბროშურა 17 მ., 9) ძმათა აფინიანებს 12 მ. 68 კ.; 10) ბ. ალავერდას ყვავილების ფასად 15 მ., 11) ბ. ბანკოვს 16 მ., 12) ბ. ბუვაილოს 14 მ. 48 კ., 13) დალაქს 3 მ. 35 კ., 14) ტიპო-სტამბას 39 მ. 50 კ., 15) აფიშას 5 მ., 16) ბ. უნგიაძეს 9 მ. 60 კ., 17) მუშებს თეატრის გასუფთავებისათვის 17 მ., 17) მეეტლეთ 8 მ. 40 კ., 19) სკამების მომტან მუშებს 7 მ., 20) ცეცხლის მქრობელ რაზმს 3 მ., 21) წვრილმანი ხარჯები 4 მ. 75 კ., 22) დეპეშები 4 მ. 25 კ., 23) ბ. თურქიას მაღაზიას 3 მ. 85 კ., 24) ქალბატონ გოგიჯანაშვილის მაღაზიას 7 მ. 77 კ., 25) ბ. ანასტასიადას 6 მ., 26) მოსამსახურე ქალსა და ბიჭებს 4 მ., 27) ძმათა მაღლაკელიძეთ სასმელებისა და საჭმელების ფასი 78 მან., 65 კაპ., 28) ბ-ნებ ცკვიტინიძეს და მგელაძეს წყლების ფასი —12 მან. 50 კაპ., 29) ბ-ნ წულაძეს—„პიროქკებისათვის" —7 მ. 15 კ., 30) ძმათა გოგრიჩიძეებს 204 მ., 31) მეყავე თათარს—2 მ., 32) სასტუმრო „ფრანციას" 5 მან., 33) ჯანდიერის ფირმას—ღვინოს ფასი—10 მ.; 34) ა. ბ. კაპარავას 4 მ. 28 კ., 35) ძმათა შენგელიებს 5 მ. 53 კ., და 36) პატენტი 7 მან. სულ 829 მან. 7 კ.

ამ რიგად **წმინდა შემოსავალი** დარჩა (2439 მ. 83 კ.—829 მ. 7 კ.) 1610 მ. და 76 კ.

ამასთანავე ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სოხუმის განყოფილების გამგეობა ვალად ჰრაცხს უღრმესი მადლობა გამოუცხადოს ნინო იესეს ასულსა და იოაკიმე მიხეილის ძეს ბ.ბ. ალოიზებს, რომელთაც უსასყიდლოდ დაუთმეს საზოგადოებას თავისი ახალი, ჯერ დაუმთავრებელი თეატრი, რისთვისაც ორი კვირით შეაჩერეს მუშმობა თეატრში; ქალბატონთ: ვ. ბოსტანჯოგლოს, ლ. ს. გროდიკოვისას, ქ. შჩეგლოვსკის ასულს და ბ. გიორგი პ. ნავროცკის, მეუღლეთ მაევსკებს, ო. ს. ვაინცვეიგს, ფ. ტერენტიევს, დ. ი. რიდელს, რ. ი. ტრატუბახს და ს. კარანკოზოვს; ზემომოხსენებულ შემომწირველთა და ყველა იმათ, რომელთაც კეთილი ინებეს და ქართულ საღამოს დაესწრნენ.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სოხუმის განყოფილების გამგეობის მონდობილობით თავმჯდომარე გამგეობისა **კნეინა მ. ნ. აზაბაძისა**, ხაზინადარი—**ოლღა დ. გოგრიჩიძისა**, წევრი გამგეობისა **ივანე ზ. ცეცხლაძე**, მდივანი **ნიკო ჯანაშია.**

1912 წლის 29 დეკემბერს **ქ. ახალციხეში**, ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, გაიმართა წარმოდგენა. სულ შემოვიდა 157 მან. 75 კაპ.; დაიხარჯა 67 მან. 66 კაპ.; წმინდა შემოსავალი დარჩა 90 მან. 9 კაპ.

ეს ფული მიმდინარე წლის 20 იანვარს უკვე გადაეცა ზემო აღნიშნულ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს ღარიბ მოწაფეთა დასახმარებელი ფონდის გასაძლიერებლად. დაწვრილებითი ანგარიში ამ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა უკვე მიეცა თავის დროზე როგორც ადმინისტრაციას, ისე წარმოდგენაში მონაწილეპირთ. ამასთანავე უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველ იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს ამ ფრიად სიმპატიურ საქმეში.

ბ. მეტრეველისი, ს. გარელკინისა, ნ. გარდავაძისა.

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) **გიორგი ილიას ძემ ოქროშჭედლიშვილმა:** ა) 49 ტომი და 5 ბროშურა ნაბეჭდი წიგნი და ბ) 3 მხედრული ხელთნაწერი.

2) **კონსტანტინე დავითის ძემ მაღალაშვილმა:** ორი საბუთი.

3) **მარო გაბაშვილისამ:** ფერადი ნაშალი აბრეშუმის ძაფი.

4) **თამარ ზაალიშვილმა:** ხელთნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი".

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. შაბათს, 9 თებერვალს, ოსების სცენის-მოყვარეთა წრე ოსურ ენაზე წარმოადგენს გოგოლის სამ მოქმედებიან კომედიას „ქორწინება"-ს. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ეროვნული ცეკვა. ფასები სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ოპერა. ბ-ნ ფალიაშვილს კარგი აზრი მოჰსვლია, რომ მოუწვევია ბ-ნი **მიშელ დარიალი** (ნანობაშვილი) რამდენსამე წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენი თანამემამულე ბ-ნი ნანობაშვილი ბრწყინვალე მომღერალთა რიცხვს არ ეკუთვნის. ან სად არიან ამ საერთო უფერულობის სამეფოში დიადნი ქურუმნი ხელოვნებისა? სამაგიეროდ, მასში მოიპოვება ისეთი რამ თვისებები, რაიც სასიამოვნოდ ხდის მისი სიმღერის მოსმენას. ხმა აქვს საკმაოდ ძლიერი და კარგად შემუშავებული. თვალნათლივად ეტყობა კარგი სკოლა სიმღერისა და უნარი სცენაზედ თავის დაჭერისა. აქვს მარტივი დიქცია და აზროვანი ფრაზიროვკა. თუმცა იგი უმეტეს შემთხვევაში დრამატიულ ტენორის როლებს ასრულებს, მაგრამ არ ითქმის, რომ ნიშანდობლივ ამ ხასიათის ტენორის ხმა ჰქონდეს. პირიქით, რამდენადაც შევნიშნე, საუთუთი, ნახი ჰანგები ძალიან ეხერხება.

პირველი მისი გამოსვლა ოთხშაბათს, 6 თებერვალს მოხდა. იგი ასრულებდა დონ-ხოზეს როლს ბიზეს ოპერა—„კარმენ"-ში და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. დასაწყისში ძალიან მღელვარებდა, რის გამოც პირველი ფრაზა თვისის პარტიისა უადგილოდ გაიმეორა. შემდეგში კი დამშვიდდა და თან-და-თან ძალ-ღონე მოიცა. მშვენივრად შეასრულა მან პირველ მოქმედების დუეტი მიკაელასთან და ქ-ნ რიოლის უხ'მ და გრძნობა მიხდილ სიმღერას რომ არ შეეშალა ხელი—ძლიერად იმოქმედებდა მსმენელებზე. მეორე მოქმედების ცნობილი ჰანგი — ყვავილის შესახებ—კარგად იყო ნამღერი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბ-ნი ნანობაშვილი ამ ჰანგს უფრო მეტის გრძნობით და მეტყველობით გადმოგვცემდა, რომ პირველ წარმოდგენის ჩვეულებრივი მღელვარება არ დასჩნეოდა. სამაგიეროდ შესანიშნავი იყო ამ ჰანგში მის მიერ უმწვერვალესის ნოტის—si bemol-ის დაძლევა. ჩვეულებრივად ამ ადგილს თითქმის ყველა მომღერალნი ძლიერის ხმა-შეკიდებით მღერიან ხოლმე. ბ-ნმა ნანობაშვილმა კი იგი ხმა-მიბნედილად (mezo-votche) სთქვა და ძლიერის სათუთის გრძნობით შეაზავა იგი. მესამესა და მეოთხე მოქმედებაში ბ-ნი ნანობაშვილი მედგარის დრამატიზმით მღეროდა და თამაშობდა. განსაკუთრებით ძლიერად იყო გადმოცემული უკანასკნელი სცენა—კარმენის მოკვლისა, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებაში და მომღერალი მრავალჯერ იქმნა გამოწვეული ტაშის კვრით და ვაშას ძახილით.

მოხდენილი კარმენია ქ-ნი კოველკოვა, მოძრავი, მხიარული და ვნებით სავსე. ხმაც ძალიან სასიამოვნო აქვს. საზოგადოებას იგი ძალიან მოეწონა და სრულიადაც დაიმსახურა ეს ყურადღება.

მშვენიერი ხმა აქვს ბ-ნ ორდას (ტორეადორი) ძლიერი, გრძნობით სავსე. რაღა თქმა უნდა, ამისთანა ხმით ტორეადორის პარტიის დაძლევა ადვილია და ასეც იყო. საზოგადოება აღტაცებით მიეგება მის მიერ ნათქვამ კუპლეტებს მეორე მოქმედებაში და მომღერალმაც, ამით გულმოცემულმა, ისეთი მჭექარე დაძახილი შეუერთა საერთო ანსამბლს კუპლეტების ფინალისას, რომ დაჰფარა ორკესტრისა და ხოროს ხმოვანება.

როგორც შევნიშნეთ, ლოტბარი ბ-ნი ზაქარია ფალიაშვილი გუნებაზე ვერ იყო და სწორედ ამიტომ ჩვეულებრივი სიფხიზლე და სიხალისე აკლდა ოპერის აღსრულებას. სამაგიეროდ, ეგრედ წოდებული მეოთხე მოქმედების „ანტრაქტი" (საორკესტრო შესავალი) მგზნებარედ გადმოგვცა, რისთვისაც საზოგადოებამ ტაშით დაჯილდოვა.

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

ღია წერილი

პატივცემულ ახალციხის წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრთა მიმართ.

გაზეთის მკითხველთ ეხსომებათ, რომ წარსული წლის 16 დეკემბერს საზოგადო კრებამ აირჩია წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების დასაარსებლად გამგეობის წევრებათ: დეკანოზი დ. ხახუტაშვილი თავმჯდომარედ და მასწავლებელნი გარდავაძე და მეტრეველი მის ამხანაგებად. რადგანაც ხსენებული არჩეული პირნი დაახლოვებით ვერ იცხობენ ადგილობრივ სოფლელთა მაჰმადიანებს, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ ჩვენს მაზრაში და ჩვენი განყოფილების მიზანიც ის არის, რო მაჰმადიანებს უნდა მიექცეს უფრო დიდი ყურადღება, რომლებიც დიდად დაქვეითებულნი არიან სწავლა-განათლების მხრით, ჩემი აზრით ცუდი არ იქნება რომ არჩეულთ გამგეობის წევრთ, ორი წევრი კიდევ მიემატოს იმისთანა პირები, რომელნიც იცნობენ ბეგებს და მათ მიიწვევს საზოგადო წევრებათ განყოფილებაში. რახან ბეგები მოექცევიან საზოგადოების წევრებად, ამაშინ დიაი სიადვილით შეიძლება ბეგლეხ-კაცთა შორის სკოლების დახსნა, რასაც სხვანაირის თვალით უყურებენ უვიცი მაჰმადიანი გლეხ-კაცობა. იმედია ახლავე მოაგვარებენ ახალი ორი წევრის არჩევნებს, ვიდრე საზოგადო კრების განაჩენი გაიგზავნებოდეს დასამტკიცებლად მთავარ-გამგეობასთან.

პატივისცემით განყოფილების წევრი
კონსტანტინე გვარამაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

განცხადებანი

თმის
საღებავი
კაკლის ექსტრაკტისა.

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნახ-ქერა ფრად, თუ კუმტშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პატენტ. № 4711. **თევდ. მიულგანი**
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის ეზარადარი **კოლნი**
და რ ● ი ბ ა.

დაარს. 1792 წ.

ნიმანი 1 ფლაკონი 1 ფლაკ. 2 ფლაკ. 1 დიდი ფლაკ. 2 დ. ფ.
Ветерин. 529935 529954. 1020

მატარებელთა მიმოსვლა
(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 5. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ. **ერევანისკენ: სახ.-სახ** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ № 4;3, ამ. 1 ს. 11 წ. **ყარსისკენ: სახ.-სახ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ. **ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-სახ.** № 7, დილ 11 ს 55 წ.

ბათომიდან: სახ № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: ს ხ.-სახ. № 8;7, საღ. 5 ს 28 წ **ყარსიდან: სახ.-სახ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-სახ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-სახ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-სახ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-სახ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-სახ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-სახ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-სახ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-სახ.**, № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ .სახ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ**, 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალსო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს, 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს 1 წ **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს 59 წ. **სახ.** № 25 I ნაშ. 1 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ამ, 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალს.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასი ა. მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მეორე II კლასის მატარებლის ნომრები 3 და 4.

ახლად გაიხსნა
სამოგზიარო თავშესაფარი
ე. ლ. არშანინისა ს ს. ს. **ხატიევისა**

ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრედვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე
ექიმი ა. გ ავეტისოვი.
ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 1018

გაღოსნოგა
ძმ. ავსარქისოვებისა
ხად. სკრაში (ეკ. კ. რ. გზა).

ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა** და **მცენარეებს** ხელ-მისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 93

ექიმი ზ. ა. [illegible] ეიოებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებებში** ავადმყოფთ ყოველ [illegible] საათამდე [illegible] ... 1.. N

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღ[illegible] გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შ ე ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტატიურად.

ი. ა. **ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. ბ. **ბაბანარიანი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. ბ. **ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანი:** 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. **მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. ბ. **ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ბ. **ბაბაჯანიანცი:** 12—1 ს. შიდ. ანი ავადმყ. ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქალ.** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. ბ. **ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

ექიმი ქალი ბ. ლ. რენიგერ-არეშევა 6—7 ს.

რჩევა-დანიშვნა 50 კაპ. ხელმოკლეთ[illegible] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მიერიგებით.

საბაჟურ ალოს დირექტორი მედიცინის [illegible] 1604 დოქტორ ბ. ა. ნავასარდიანა

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370** დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯ-ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდ.

	ექიმების მიერ:	დილით:
შინაგან სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ.	**სპეკტიოლრი ბ. ბ.**	8½—9½ ს.
	ბაზაზოვი ა. ა.	10—11 ს.
	იაშვილი ა. ო.	11—12 ს.
	აბაკელია ი. კ.	12—1 ს.
	ლოლოგერიძე ბ. ბ.	12½—1½ ს.
საფეხ. ...	**ბრიგორიანი ა. ი.**	11—12 ს.
	მელკონიანი ბ. ა.	12—1 ს.
	ჯაში ი. ი.	9½—10½ ს.
საშო-დეს. ...	**ბრიგორიანი ა. ი.**	11—12 ს.
სნეულ. ...	**ექიმი-ქალი საშვარელიძე დ. ბ.**	11—12 ს.
	ლოლოგერიძე	12½—1½ ს.
სნეულ. ...	**შტრეიხერი მ. ა.**	12 12½ ს.
...	**შაპელნიკოვი ბ. ი.**	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606" და „914"**, ყვავილი, აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გაბინჯვა, დაბელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „ეგოლბროგა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის **პ ი ე ს ა**
„გ ა ბ ც ე ბ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

სამკურნალო გოგირდის აბანო
„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა"
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე
ახლად შეკეთებული
მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთ[illegible] საზოგადო სათავად-აზნაურო. განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრ[illegible]ში და განყოფილებაში ორ-ორი მილი 290/0 და 350/0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავ[illegible] საუკეთესო. საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ [illegible]ულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექანიკ[illegible] კაცები. მსურველთ შეუძლიათ ამბულატორიებში შეიძინონ, ტელეფონი № 115. 16 4

მიგიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები.
ჯუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.
1131

გამოსულია და იყიდება
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი [illegible] მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ჟიტკა), ორაგული, თარი[illegible] ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრ[illegible] თვე ყოველ დროს იყიდება მალაზიაში
მოსკარშული დონში, ზურგიელი
და ყოველგვარი
ᲨᲐᲕᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ